

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„19 05“ 2015 წელი

ეგზ. №1

ვანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში 0139/00

2015

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	5
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	9
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9
შენიშვნა-ნაგებობები.....	9
არამატერიალური ძირითადი აქტივები	12
შრომის ანაზღაურება.....	12
ოფისის ხარჯი.....	14
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.....	14
სოციალური უზრუნველყოფა.....	17
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	17
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	18
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	19
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	19
ძირითადი აქტივები	20
შენიშვნა-ნაგებობები	20
შრომის ანაზღაურება.....	23
ოფისის ხარჯი.....	24
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.....	25
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	27
სახელმწიფოსგან გადაცემული ქონება.....	27
ინვენტარიზაცია	28
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	29
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	31
ვანის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	32
ვანის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება	44
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	56
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	56

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია¹;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

¹ 2015 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს იმავე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;


² აღნიშნული კოდექსი მოქმედებს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, ხოლო მანამდე მოქმედებდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

ვანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ბიუჯეტების შემოსულობებმა შეადგინა 18 409.6 ათასი ლარი: 2013 წელს - 9 070.9 ათასი ლარი, 2014 წელს - 9 338.7 ათასი ლარი. აქედან, 99.9 %-ს შეადგენს შემოსავლები, 0,1 % - არაფინანსური აქტივების კლებაა, შემოსავლები კი მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

2013-2014 წლების ტრანსფერები

(ათასი ლარი)




2013-2014 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ✓ გათანაბრებითი ტრანსფერი - 9936.7 ათასი ლარი.
- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი - 286.8 ათასი ლარი.

✓ სპეციალური ტრანსფერი³ - 6895.0 ათასი ლარი.

2013-2014 წლებში ბიუჯეტების გადასახდელებმა შეადგინა 17 379.2 ათასი ლარი. აქედან: 2013 წელს - 6 844.1 ათასი ლარი, 2014 წელს - 10 535.1 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გადასახდელების 65,5 %-ს შეადგენს ხარჯები, 34,1% -ს - არაფინანსური აქტივების ზრდა, ხოლო ვალდებულებების კლება - 0,4 %-ს.

2013-2014 წლების ხარჯების კლასიფიკაცია



2013-2014 წლებში ბიუჯეტების ხარჯებმა სულ შეადგინა 11 384.7 ათასი ლარი, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, 4 170.6 ათასი ლარით, წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლი, შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 3 576.1 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურება - 3377.2 ათასი ლარით. ბიუჯეტის მონაცემებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი - 260.8 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ზრდამ - „ნაშთის ცვლილებამ“, შეადგინა 1 030.4 ათასი ლარი.

³ აღნიშნული სპეციალური ტრანსფერი მოიცავს არაფინანსური აქტივების ზრდის მიზნით მიღებულ თანხებს, ხოლო 2015 წლის 1 ივნისიდან ამ მიზნით მუნიციპალიტეტები იღებენ კაპიტალურ ტრანსფერს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2011-2012 წლებში ჩაატარა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2007-2010 წლების ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების მდგომარეობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა რიგი დარღვევა-ნაკლოვანებები. მუნიციპალიტეტის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მაგრამ გამოვლენილი ყველა ნაკლოვანება გამოსწორებული არ არის. კერძოდ: ჯერ კიდევ არ არის შემოსავალში აღებული და აღრიცხული მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2009 წელს ჩატარებული რუსთაველისა და სანაპირო ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები, თანხით - 1 360.6 ათასი ლარი; დებიტორულ დავალიანებებში ისევ ირიცხება ფიზიკური პირი - „დემურ ხარძეიშვილი“, თანხით 2.5 ათასი ლარი (2005 წელს წარმოქმნილი).

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2013 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის კლასიფიცირებული საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა - 17.8 ათასი ლარი, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის - 2 244.7 ათასი ლარი. აღნიშნული ნაცვლად „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლისა წარმოდგენილია „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლი, ხოლო იმავე თანხით არის შემცირებული მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება1. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2010 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა რუსთაველისა და სანაპირო ქუჩებს, ღირებულებით - 1360.6 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოები ჩაიბარა ვანის მუნიციპალიტეტმა. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული სამუშაოები შემოსავალში აღებული და აღრიცხული არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) „შენობა ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის შემცირებულია წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან სამუშაოების აქტივად აღიარების ოპერაცია არ განხორციელებულა, დასარიცხი თანხა ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) წარმოდგენილ „შენობა ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლების სისწორეზე.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეისყიდა 178.3 ათასი ლარის სხვადასხვა შენობების სარემონტო, აგრეთვე გზების, ხიდების, ბოგიერების რეაბილიტაცია-მოწყობისა და სხვადასხვა სამუშაოები⁴. შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოები, ნაცვლად „არაფინანსური აქტივის ზრდისა“, აღიარებულია „ოფისის ხარჯებში“ 35.8 ათასი ლარი და „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში - 142.5 ათასი ლარი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 178.3 ათასი ლარით.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილი „ოფისის

⁴ შენობების რემონტი - 56.3 ათასი ლარი, გზების, ხიდებისა და ბოგიერების აღდგენა - 99.2 ათასი ლარი, სხვადასხვა სამუშაოები - 22.8 ათასი ლარი.

ხარჯები“ და „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლებსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან სამუშაოების აქტივად აღიარების ოპერაცია არ განხორციელებულა, დასარიცხი თანხა ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლების სისწორეზე.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ვანში თავისუფლების ქ. №63 და №65-ს შორის შესასვლელ გზაზე მოეწყო ქვაფენილი - ღირებულებით 24.6 ათასი ლარი⁵. სამუშაოები „გზების“ ნაცვლად აღრიცხულია „სხვა ნაგებობებში“. არასწორად კლასიფიკაციის გამო ქონებაზე (გზაზე) ცვეთა დარიცხულია მეტი, 3%-ის ნაცვლად 7,5%, თანხით - 1.1 ათასი ლარი⁶.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) „შენობა-ნაგებობებსა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლი 1.1 ათასი ლარით ნაკლებია წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2-1) „სხვა ნაგებობების“ მუხლი გაზრდილია 24.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „გზების“ მუხლი.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსში აქტივების საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის

⁵ 2013 წლის 8 ივლისის №57 ხელშეკრულება.

⁶ $24.6 \times 7.5\% = 1.8$ ათასი ლარი, $24.6 \times 3\% = 0.7$ ათასი ლარი. $1.8 - 0.7 = 1.1$ ათას ლარი.

შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5).

არამატერიალური ძირითადი აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს შპს „ერთიგონისგან“⁷ შეიძინა ბუღალტრული პროგრამა, ღირებულებით 14.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, ბალანსზე ირიცხება 2007 წელს შექმნილი ვებგვერდი - ღირებულებით 7.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებზე ცვეთა დარიცხული არ არის, რომელიც დადგენილი ნორმით⁸ 2013 წელს შეადგენს 2.1 ათას ლარს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) „სხვა ძირითადი აქტივებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები ცვეთის თანხით გაზრდილია წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთის თანხა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3 და №5) წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლისა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე.

შრომის ანაზღაურება

გარემოება 1. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ თანამშრომლებისათვის ანაზღაურებული საავადმყოფო ფურცლის თანხები - 1.2 ათასი ლარი, გაცემულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან. აღნიშნული ხარჯები გაწეული უნდა ყოფილიყო „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან („დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“).

⁷ 2013 წლის 12 თებერვლის №30 ხელშეკრულება.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 37.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3) „შრომის ანაზღაურების“ და „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლები გაზრდილია 1.2 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყოფილი გამგებლის სასარგებლოდ დაევალა სამი თვის ხელფასის - 7.4 ათასი ლარის ანაზღაურება. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული თანხა ნაცვლად „სხვა ხარჯების“ მუხლისა, აღიარებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლში. ხარჯის აღიარება მოხდა 2013 წელს (ფაქტობრივი ხარჯი), ხოლო დაიფარვა 2014 წელს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და №3) „შრომის ანაზღაურების“ და „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლების ფაქტობრივი ხარჯი გაზრდილია 7.4 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტის მოსამსახურე ქალებისათვის - დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაცემულია ფულადი ჯილდო 5.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა არ არის ასახული „შრომის ანაზღაურების“ მუხლში, ის მიკუთვნებულია სოციალურ დახმარებას და ფორმა N2-ში ასახულია „სუბსიდიის“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და №3) „შრომის ანაზღაურების“ და „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლები შემცირებულია 5.7 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სუბსიდიის“ მუხლი.

ოფისის ხარჯი

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ „ოფისის ხარჯების“ მუხლიდან გაწეულია სხვადასხვა ავტორების წიგნების (მხატვრული ლიტერატურა) ბეჭდვის ხარჯი - თანხით 3.0 ათასი ლარი. ეს მომსახურება არ წარმოადგენს ოფისის ხარჯს და ის მიკუთვნებული უნდა იყოს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 3.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1. მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებულია სსიპ „საქართველოს მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის“ მიერ შესრულებული სამუშაოების დაფინანსებისათვის ზედმეტად ჩარიცხული 2.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ბალანსზე არ იყო აღრიცხული, როგორც ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალდებულებები და გატარებულია მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა მოკლევადიანი კრედიტორების“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 2.8 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №3) გაზრდილია „წმინდა ღირებულება“ ნაშთი წლის დასაწყისისათვის
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, №3) გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

გარემოება 2. საქართველოს მთავრობის განკარგულებით⁹, ვანის მუნიციპალიტეტი განთავისუფლდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიისაგან. დადგინდა მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან განთავისუფლებაზე გადასახდელი განსხვავებული თანხა-1.6 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით, მაშინ როდესაც ის წარმოადგენს „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯს“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 1.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია მუხლი - „სხვადასახვა მიმდინარე ხარჯი“.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 1.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 3. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები შეძენისთანავე გადაეცემოდა ექსპლუატაციაში და არ ხდებოდა მისი ჩამოწერა ხარჯებში და შემდგომ მისი აღრიცხვა ბალანსის საცნობარო მუხლში - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. 2013 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა 121.9 ათასი ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (ექსპლუატაციაში მყოფი), 2013 წელს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შეძენილია და გადაცემულია ექსპლუატაციაში 39.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ხარჯებში ჩამოწერილი არ არის.

⁹ 2013 წლის 10 სექტემბრის №1316 განკარგულება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში, წარმოდგენილი მუხლები - „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ და „წმინდა ღირებულება“, წლის დასაწყისისათვის გაზრდილია 121.9 ათასი ლარით, წლის ბოლოსთვის - 161.2 ათასი ლარით, ხოლო ბალანსის საცნობარო მუხლი - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“, შემცირებულია წარმოდგენილი აღნიშნული თანხებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულია წარმოდგენილი 39.3 ათასი ლარით ბალანსის დანართი ფორმა №2-ში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯი, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

გარემოება 4. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე რეზერვებისა და წვევამდელთა ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 4.4 ათას ლარს¹⁰. აღნიშნული მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, გადაზიდვა-გადაყვანისა და საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორად.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 4.4 ათასი ლარით. ამავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი.

¹⁰ ი/მ „სულხან როხვაძესთან“ 2013 წლის 14 თებერვალს გაფორმებული №32 ხელშეკრულება.

გარემოება 5. 2013 წელს საკრებულოს დადგენილებით¹¹ დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯის ანაზღაურების სახით (ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე), სულ მიღებული აქვთ 35.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს სოციალური დახმარების სახით გაწეულია 283.0 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლისა ასახულია შემდეგ მუხლებში: „სუბსიდიებში“- 263.0 ათასი ლარი, „საქონელსა და მომსახურებაში“-20.0 ათასი ლარი (ზრუნვამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა).

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და №3) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი შემცირებულია 283.0 ათასი ლარით, ხოლო გაზრდილია „სუბსიდია“ - 263.0 ათასი ლარით, აგრეთვე „საქონელი და მომსახურება“ - 20.0 ათასი ლარით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს გაცემულია პრემია („წახალისება“) - 238.6 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხის 13%-ს შეადგენს. პრემიები მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომელზე გაცემული არაა. საკრებულოს მიერ პრემიის გაცემასთან დაკავშირებით დებულება

¹¹ 2013 წლის 17 აპრილის №6 დადგენილება.

შემუშავებული არ არის, იგი გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, აგრეთვე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე.

შტატგარეშე 11 მომუშავე პირზე გაცემულია 5.5 ათასი ლარის პრემია. პრემიები ისეა გაცემული, რომ მათთან გაფორმებული ხელშეკრულების „ანაზღაურების“ მუხლში წახალისება გათვალისწინებული არ იყო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 3 თანამშრომელზე გაცემულია ხელფასზე დანამატი, სულ თანხით 15.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს ტრანსპორტის ხარჯმა შეადგინა 140.8 ათასი ლარი. აქედან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულია 75.3 ათასი ლარი, მათ შორის, საწვავის ხარჯი შეადგენს 60.4 ათას ლარს; რემონტის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვასხვა ხარჯი კი - 14.9 ათასი ლარია.

ბალანსის მიხედვით მუნიციპალიტეტს „გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი“ 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება 54.6 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს - 19.1 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანების შედარება არ ხდება საგადასხადო ინსპექციაში მუნიციპალიტეტის პირად ბალანსზე რიცხულ ნაშთებთან, რომელიც წლის დასაწყისისათვის არის 38.6 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს - 3.2 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანების რეალობა, უნდა დადგინდეს საგადასახადო ორგანოს მონაცემებთან შედარების გზით.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ვანის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის კლასიფიცირებული საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2014 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა - 2244.7 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრისათვის - 1048.2 ათასი ლარი. აღნიშნული ნაცვლად მუხლისა - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, წარმოდგენილია „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წლის დასწყისისა და წლის ბოლოსათვის გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლი, ხოლო იმავე თანხით არის შემცირებული მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

ძირითადი აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მონაცემებით, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები 2015 წლის 1 იანვრისათვის წარმოდგენილია არასწორი მაჩვენებლებით: შენობა-ნაგებობების ღირებულება გაზრდილია 39.7 ათასი ლარით, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის - 5.0 ათასი ლარით, ხოლო დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები შემცირებულია 31.5 ათასი ლარით. ამდენად, ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 13.2 ათასი ლარით გაზრდილი მაჩვენებლებით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი გაზრდილია 39.7 ათასი ლარით, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი - 5.0 ათასი ლარით, ხოლო „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“ მუხლი შემცირებულია 31.5 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №3, №5) ძირითადი აქტივებისა და წმინდა ღირებულების ნაშთები 2014 წლის ბოლოსათვის 13.2 ათასი ლარით გაზრდილია წარმოდგენილი.

შენონა-ნაგებობები

გარემოება1. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2010 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა რუსთაველისა და სანაპირო ქუჩებს, ღირებულებით 1360.6 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოები ჩაიბარა ვანის მუნიციპალიტეტმა. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული სამუშაოები შემოსავალში აღებული და აღრიცხული არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის შემცირებულია წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან სამუშაოების აქტივად აღიარების ოპერაცია არ განხორციელებულა, დასარიცხი თანხა ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლების სისწორეზე.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეისყიდა 131.5 ათასი ლარის სხვადასხვა შენობების სარემონტო, აგრეთვე ხიდების, ბოგირების, წყალგამტარი მილების რეაბილიტაცია-მოწყობისა და სხვადასხვა სამუშაოები¹². შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოები, ნაცვლად „არაფინანსური აქტივის ზრდისა“, აღიარებულია „ოფისის ხარჯებში“ - 15.2 ათასი ლარი და მუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ - 116.3 ათასი ლარი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 131.5 ათასი ლარით.

¹² შენობების რემონტი - 23.8 ათასი ლარი, ხიდებისა და ბოგირების აღდგენა - 56.9 ათასი ლარი, წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები - 4.2 ათასი ლარი, სხვადასხვა სამუშაოები - 46.6 ათასი ლარი.

- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილი „ოფისის ხარჯებისა“ და „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლებსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან სამუშაოების აქტივად აღიარების ოპერაცია არ განხორციელებულა, დასარიცხი თანხა ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, № 2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლების სისწორეზე.

გარემოება 3. 2014 წელს მუნიციპალიტეტის სახელმწიფოსგან გადმოცემა¹³ და მის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩა №7-ში მდებარე ყოფილი ქორეოგრაფიული სტუდია. აღნიშნული შენობა-ნაგებობების ფართობი შეადგენს 207.9 კვ. მ-ს, დაკავებული მიწის ფართობია 323 კვ.მ. გარდა ამისა, 2014 წელს სახელმწიფოსგან გადმოცემულია¹⁴ ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩა №2-ში მდებარე ყოფილი საჭადრაკო სკოლა, შენობა-ნაგებობების ფართობი - 332.4 კვ. მ, დაკავებული მიწის ფართობია - 315 კვ.მ (ეს ქონება საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებულია 2015 წელს).

აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

¹³ სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის 3 ივნისის №1/1-1046 ბრძანება.

¹⁴ სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის 6 ივნისის №1/1-1119 ბრძანება.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართ ფორმა №5).

შრომის ანაზღაურება

გარემოება 1. 2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ თანამშრომლებისათვის ანაზღაურებული საავადმყოფო ფურცლის თანხები - 8.4 ათასი ლარი და სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციები -19.7 ათასი ლარი, გაცემულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან. აღნიშნული ხარჯები მუნიციპალიტეტს უნდა გაეწია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან („დამსაქმებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“).

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართი ფორმა №2 და №3) „შრომის ანაზღაურების“ და „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლები გაზრდილია 28.1 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტის მოსამსახურე ქალებისათვის დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაცემულია ფულადი ჯილდო 6.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა არ არის ასახული „შრომის ანაზღაურების“ მუხლში. ის გაცემულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან („დამსაქმებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“).

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და №3) „შრომის ანაზღაურების“ და „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლები შემცირებულია 6.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

ოფისის ხარჯი

გარემოება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები შეძენისთანავე გადაეცემოდა ექსპლუატაციაში და არ ხდებოდა მისი ჩამოწერა ხარჯებში და შემდგომ მისი აღრიცხვა ბალანსის საცნობარო მუხლში - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. 2014 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა 161.2 ათასი ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (ექსპლუატაციაში მყოფი), 2014 წელს „ოფისის ხარჯების“ მუხლიდან შეძენილია და გადაცემულია ექსპლუატაციაში 12.5 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ხარჯებში ჩამოწერილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში, წარმოდგენილი „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები წლის დასაწყისისათვის გაზრდილია 161.2 ათასი ლარით, წლის ბოლოსთვის - 173.7 ათასი ლარით, ხოლო ბალანსის საცნობარო მუხლი - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ შემცირებულია წარმოდგენილი აღნიშნული თანხებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულია წარმოდგენილი 12.5 ათასი ლარით ბალანსის დანართი ფორმა №2-სა და №3-ში შესაბამისად „ოფისის ხარჯების“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2014 წელს სარეზერვო ფონდიდან სოციალური დახმარების სახით გაწეულია 47.1 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლისა, ასახულია მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) მუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ გაზრდილია 47.1 ათასი ლარით, ხოლო აღნიშნული თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი 47.1 ათასი ლარით, ხოლო აღნიშნული თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებზე გაცემული ფულადი ჯილდო - 5.1 ათასი ლარი, აღრიცხულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში, მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯს“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 5.1 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯის“ მუხლი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №) „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 5.1 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯის“ მუხლი.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე წვევამდელთა ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 6.0 ათას ლარს¹⁵. აღნიშნული მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, გადაზიდვა-გადაყვანისა და საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორად.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 6.0 ათასი ლარით, ამავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 4. საკრებულოს დადგენილებებით¹⁶ დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯის ანაზღაურების სახით (ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე) სულ მიღებული აქვთ 74.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია მუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

¹⁵ ი/მ „სულხან როხვაძესთან“ 2014 წლის 6 მარტს გაფორმებული №41 ხელშეკრულება.

¹⁶ 2013 წლის 17 აპრილის №6 და 2014 წლის 4 აგვისტოს №23 დადგენილებები.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ძირითადად განხორციელდა „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ცვეთის ნორმები მიყენებულია არასწორად, საერთო ჯამში, 2014 წელს 8.1 ათასი ლარით ნაკლები ცვეთა არის დარიცხული დადგენილ ნორმებთან შედარებით. გარდა ამისა, წარმოდგენილი მონაცემებით მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული ცვეთა შეადგენს 643.5 ათას ლარს, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 638.7 ათასი ლარი, 4.8 ათასი ლარით ნაკლები. ამდენად, 2014 წელს დარიცხული ცვეთა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 12.9 ათასი ლარით ნაკლები¹⁷.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) არაფინანსური აქტივები და „წმინდა ღირებულების“ მუხლი ცვეთის თანხით გაზრდილია წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთის თანხა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3 და №5) წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლისა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე.

სახელმწიფოსგან გადაცემული ქონება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 23 აპრილის №1-1/1036 ბრძანებით, მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან გადმოეცა, შუამთის ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება. ბრძანების დანართით ირკვევა, რომ ქონება შედგებოდა სატრასპორტო

¹⁷ დამატებით დასარიცხავ ცვეთას - 8.1 ათას ლარს ემატება მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად გადატანილი 4.8 ათასი ლარი.

საშუალებების, სხვადასხვა ტექნიკისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისაგან, სულ თანხით, 102.6 ათასი ლარი.

გადმოცემული ქონების მიღებასთან დაკავშირებით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 მაისის №67 ბრძანებით შეიქმნა კომისია. კომისიის შემადგენლობაში 2014 წელის 5 მარტს შევიდა ცვლილება. კომისიაში შედიოდნენ საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები (ბრძანება №71). კომისიის მიერ 2014 წლის 13 მარტს შედგა ინვენტარიზაციის აქტი. ინვენტარიზაციით გადმოცემული ქონებიდან დანაკლისმა შეადგინა (ვერ იქნა ნანახი) 51.6 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა ფასეულობა.

ინვენტარიზაციის შედეგები გამგეობის მიერ 2014 წლის მარტში¹⁸ გადაიგზავნა საკრებულოში. სახელმწიფოსგან გადმოცემული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ შემოსავალში არ არის აღებული და არც დანაკლისზეა გატარებული შესაბამისი ღონისძიება.

ინვენტარიზაცია

საკრებულოს 2013 წლის 13 ნოემბრის №232 ბრძანებით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, შეიქმნა კომისია. გამგეობის მიერ ინვენტარიზაციის მასალები 2014 წლის 12 ივნისს¹⁹ გადაეგზავნა საკრებულოს თავმჯდომარეს. პასუხისმგებელი პირის განმარტებითა და გამგეობაში მოპოვებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საკრებულოში, გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში გამოვლინდა სხვადასხვა ფასეულობათა დანაკლისი თანხით 38.3 ათასი ლარი, აგრეთვე ჩამოსაწერი ქონება, რაზედაც შედგენილია შესაბამისი მოხსენებითი ბარათები.

საკრებულოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირება არ გაკეთებულა: არ ჩამოიწერა ქონება და არც გამოვლენილ დანაკლისებზეა

¹⁸ გამგეობის 2014 წლის 25 მარტი №1-1/321 წერილი.

¹⁹ №1-1/664 წერილი.

გატარებული შესაბამისი ღონისძიებები. გამოვლენილ დანაკლისებზე არ არის მიცემული შესაბამისი ბუღალტრული გატარება და არ არის შემცირებული არაფინანსური აქტივები.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2014 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტს დებიტორულ დავალიანებებში ერიცხება შპს „ტერექსი XXI“-ზე ავანსად ჩარიცხული თანხა 655.0 ათასი ლარი²⁰. 2014 წელს შესრულებლმა სამუშაომ შეადგინა 105.6 ათასი ლარი, აღნიშნულმა მომწოდებელმა ვერ შეძლო ხელშეკრულების პირობების შესრულება და შეუწყდა ხელშეკრულება. 2015 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება დარჩა 549.4 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მომწოდებლის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრულია საქმე, ჩატარებული ექსპერტიზით მომწოდებლის მიერ სულ შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა 520.5 ათასი ლარი, რომლის დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტს ოფიციალურად ჯერ არ მიუღია. გარდა ამისა, 2015 წლის თებერვალში გარანტიორი სადაზღვევო კომპანიის მიერ ჩარიცხულია 50.0 ათასი ლარი. ამდენად, შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ შპს „ტერექსი XXI“-ის დავალიანება დარჩება 84.5 ათასი ლარი.

2013 წელს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ი/მ „მორის ყველაძესთან“ დადებულია ხელშეკრულება²¹ სახანძრო-სამაშველო ავტოტრანსპორტის მოწოდებაზე, თანხით 89.0 ათასი ლარი. იმავე წელს, საბანკო გარანტიის საფუძველზე ი/მ „მორის ყველაძის“ ქვეკონტრაქტორს, ი/მ „ელისო არაბიძეს“, ჩაერიცხა 43.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა და მიმდინარეობს სასამართლო დავა. 2015 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის დებიტორულ დავალიანებებში ირიცხება ი/მ „ელისო არაბიძე“, თანხით 43.0 ათასი ლარი.

²⁰ 2013 წლის 14 აგვისტოს №65 ხელშეკრულება(SPA130014864).

²¹ 2013 წლის 30 აგვისტოს №70 ხელშეკრულება(SPA130017456).

მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს გაცემულია პრემია („წახალისება“) - 185.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხის 11%-ს შეადგენს. პრემიები მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომელზე არაა გაცემული. საკრებულოს მიერ პრემიის გაცემასთან დაკავშირებით დებულება შემუშავებული არ არის, იგი გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, ასევე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე.

შტატგარეშე 34 მომუშავე პირზე გაცემულია 8.2 ათასი ლარის პრემია. პრემიები ისეა გაცემული, რომ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულების ანაზღაურების მუხლში წახალისება გათვალისწინებული არ იყო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 10 თანამშრომელზე გაცემულია ხელფასზე დანამატი, სულ თანხით - 15.7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2014 წელს ტრანსპორტის ხარჯმა შეადგინა 147.5 ათასი ლარი. აქედან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულია 51.9 ათასი ლარის ხარჯი, მათ შორის, საწვავის ხარჯი შეადგენს 46.4 ათას ლარს, რემონტის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვადასხვა ხარჯი კი - 5.5 ათასი ლარია.

ბალანსის მიხედვით, მუნიციპალიტეტს „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ 2014 წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსთვის ერიცხება 19.1 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანების თანხა არ ედრება საგადასახადო ინსპექციაში მუნიციპალიტეტის პირად ბალანსზე რიცხულ ნაშთებს, რომლებიც წლის დასაწყისისათვის არის 3.2 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს - 15.1 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანების რეალობა უნდა დადგინდეს საგადასახადო ორგანოს მონაცემებთან შედარების გზით.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ვანის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ვანის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის ბალანსი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი ს/კ 229653256

ორგანიზაციის დასახელება

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2014 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ზომები	ზამთი წლის დასაწყისისათვის	ზამთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ზღვრი ფულადი საფარში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ზღვრი ფულადი საფარში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიშში ზანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიშში ზანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადასაფარსო ანგარიშში ზანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ზანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკანო ხარჯებისათვის	1250	17,767	2,244,688
080	დეპოზიტები ზანკში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ზანკში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ზანკის საფარული ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ზანკში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების მომსახურების	1355		
210	გადახდილი დღე	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ზარტებით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვეო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საკონტინენტის და მომსახურების მოღვაწე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მოღვაწე წინასწარი გადახდებით	1432		697,995
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	ანგარიშგაღებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომწოდებლის მიმართ მოთხოვნები	1460	36	
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	29,325	29,325
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	2,650	2,650
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	55,617	84,421
410	შენიშნა-ნაგებობები	2110	8,903,196	8,794,233
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	246,299	271,181
430	სხვა მორთავი აქტივები	2130	7,000	21,000
440	დაუმთავრებელი მორთავი აქტივი	2140	359,237	797,018
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	121,981	161,235
